ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №24

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 21 იანვარს 2019 წელს.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებანი:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომ–"ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსყიდველი ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დაკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ერთის მხრივ **აფხაზეთის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება–ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოსა,** წარმოდგენილი მისი უფროსის გოგი მანიას სახით (საიდ. კოდი 249251287 ქ. თბილისი ალ. ყაზბეგის გამზ. №42) (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ **სს " გრინვეი საქართველოს"** (ს/ნ: 404867006, მის: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი,უნივერსიტეტის ქ.N6) (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის გორდა სურგულაძის სახით, შორის. (საფუძველი: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტი).

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს (გამარტივებული შესყიდვის საშუალებით) 2 (ორი) ერთეული მსუბუქი ავტომობილის (სახელმწიფო ნომრები: AW454AW; AF871FA) ტექნიკური ინსპექტირების **(CPV 71600000 -ტექნიკური შემოწმება, ანალიზი, და საკონსულტაციო მოსმახურებები**) შესყიდვა

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **–120.00 (ას ოცი) ლარს,** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით;

4.2 ერთი ავტომობილის ტექნიკური ინსპექტირების ღირებულება შეადგენს 60.00 (სამოცი) ლარს.

5. მოსმახურების გაწევის წესი, ვადები და ადგილი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისა და ორივე მხარის წარმომადგენლის ხელმოწერებით გაფორმების შემდეგ;

5.2. მომსახურების გაწევა უნდა განხოციელდეს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში მიმწოდებელთან წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, სადაც მიეთითება მომსახურების გაწევის ზუსტი დრო.;

5.3. მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №6

6. მხარეთა უფლება მოვალეობები

6.1. „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

6.2. „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს "შემსყიდველისათვის" ხარისხიანად და ჯეროვნად ტექნიკური მომსახურების გაწევა;

6.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში უზრუნველყოს მოსმახურების გაწევა.

6.4. „შემსყიდველი” ვალდებულია „მიმწოდებელის” მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული მომსახურების ღირებულება.

7. მიწოდებული მომსახურების ხარისხი და გარანტია

7.1. ”მიმწოდებელი” იძლევა გარანტიას, რომ მომსახურება არის ხარისხიანი და შეესაბამება არსებულ სტანდარტებს;

8. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

8.1. ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან” განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ლარებში;

8.2. ხელშეკრულებით გათვლისწინებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება, მომსახურების გაწევიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

9. ფასები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს;

9.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია განსაზღვრული ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას „შემსყიდველი” ორგანიზაციისათვის.

9.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა საერთო ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი)%-ს.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება შეცვალოს ხელშეკრულების პირობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, „შემსყიდველი” არ არის ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებელს” რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების შეცვლის აუცილებლობა;

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1 „მიმწოდებელს” არა აქვს უფლება „შემსყიდველის” წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად, ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

12. სუბ-კონტრაქტორი

12.1. იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტორის დადების, ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, „მიმწოდებელმა” წერილობით უნდა აცნობოს „შემსყიდველს” ზემოთაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა;

12.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორის ასლი უნდა წარედგინოს „შემსყიდველს” მისი გაფორმებიდან ერთი კვირის განმავლობაში;

12.4. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბ-კონტრაქტორი არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს” ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. ფორს-მაჟორი

13.1.. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება „ფორს-მაჟორული” გარემოებების გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და

„მიმწოდებლისათვის” ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას;
13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3. „ფორს-მაჟორული” გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება
ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.
თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისამებრ და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან „ფორს-მაჟორული” გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისთვის, მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.02 %-ის პროცენტის ოდენობით ყოველი გადაცილებული დღისათვის;

14.3 რომელიმე ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობის და/ან პირგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ან თუ პირგასამტეხლოს თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3-%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

14.4 დამრღვევი მხარე ვალდებულია დაფაროს ხელშეკრულებით დადგენილი პირგასამტეხლო წერილობითი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში;

14.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

15.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 1 (ერთი) კვირით ადრე;

15.3. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხიხმგებლობისაგან;

15.4. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ამის თაობაზე 1 (ერთი) კვირით ადრე შეატყობინეს მეორე მხარეს;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ;

16.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადაგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს;

17. ინტერესთა კონფლიქტი

17.1 "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლ განმახორციელებელი პირები სრულიად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესეთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელის მოწერიდან 2019 წლის 31 მარტამდე.

19. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

19.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

19.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს, აფხაზეთის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – ადმინისტრაციულ - სამეურნეო სამმართველოს მიერ გამოყოფილი კოორდინატორები – ლევან ფარულავა, გია ტაბატაძე.

20. სხვა პირობები

20.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე;

20.2. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით და/ან შტამპით როგორც "შემსყიდველის" ასევე "მიმწოდებლის" მხრიდან.

21. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

აფხაზეთის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველო

მისამართი: *ქ. თბილისი ალ. ყაზბეგის ქ. №42 ტელ: 237 67 69,*

საბანკო რეკვიზიტები: *მიმღები ბანკი: - სახელმწიფო ხაზინა;*
მიმღების დასახელება – ხაზინის ერთიანი ანგარიში;
ბანკის კოდი TRESGE2
საიდენტ. კოდი 249251287

აფხაზეთის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – ადმინისტრაციულ -სამეურნეო სამმართველოს უფროსი

Administrative and Logistical Division Sub Agency of the Autonomous Republic of Abkhazia

Digitally signed by Administrative and Logistical Division Sub Agency of the Autonomous Republic of Abkhazia
Date: 2019.01.21 16:56:33 +04'00'

გოგი მანია

„მიმწოდებელი"

სს "გრინვეი საქართველო"

მისამართი: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი,უნივერსიტეტის ქ.N6

საბანკო რეკვიზიტები: *საქართველოს ბანკი BAGAGE22*
ა/ა GE39BG0000000269401700
საიდ. კოდი - 404867006

შპს "გრინვეი საქართველოს"
დირექტორის მინდობილი პირი გორდა სურგულაძე

საქართველო
სანოტარო აქტი

მე, ნოტარიუსი ირმა შარვაძის შემცვლელი პირი, **მაკა ციხისელი** (სანოტარო ბიურო მდებარე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას #42) მიმიწვიეს სანოტარო მოქმედების შესასრულებლად მისამართზე: ქ. თბილისი, გაგარინის ქ. #29ა–ში, სადაც მომმართა **სს "გრინვეი საქართველოს"** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404867006) დირექტორმა, ვახტანგ ებიტაშვილმა (პირადი ნომერი: 01025003084; დაბადების თარიღი 01.09.1977; მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, ად. მიცკევიჩის ქ. 29, ბ. 11), რომელმაც თავისი უფლებამოსილების დასადასტურებლად წარმოადგინა სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი (მომზადებული: 23/10/2018 წ.) და განაცხადა, რომ მას სურს შეადგინოს რწმუნებულება, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს **გორდა სურგულაძეს.**

მე დავადგინე მარწმუნებლის ქმედუნარიანობა, ნების გამოვლენის ნამდვილობა, უფლებამოსილება და რწმუნებულების შინაარსი.

მარწმუნებელმა დაადასტურა, რომ რწმუნებულება სრულად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე რწმუნებულებას:

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სს "გრინვეი საქართველოს" (რეგისტრირებული: 09/07/2010წ. საიდენტიფიკაციო ნომერი: 404867006, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, უნივერსიტეტის ქ., N6) დირექტორმა, ვახტანგ ებიტაშვილმა (პირადი ნომერი: 01025003084; დაბადების თარიღი 01.09.1977; მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, ად. მიცკევიჩის ქ. 29, ბ. 11), რომელიც შემდგომში წოდებულია, როგორც "მარწმუნებელი"

წინამდებარე რწმუნებულებით

გორდა სურგულაძეს (დაბადებული: 05.02.1991 წელს; მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, ირ. აბაშიძის 51, ბ.2, პირადი ნომერი: 61001067759, შემდგომში „რწმუნებული") მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. წინამდებარე რწმუნებულების ძალით რწმუნებული უფლებამოსილია:

- წარმოადგინოს მარწმუნებლის ინტერესები სახელმწიფო და ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისთან, საჯარო რეესტრში, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან (მათ შორის, საბანკო დაწესებულებებთან), ფიზიკურ პირებთან, სხვა იურიდიულ-სამართლებრივი ფორმის ინსტიტუტებთან/დაწესებულებასთან, ნოტარიუსთან და სხვა ნებისმიერ მესამე პირებთან ურთიერთობაში;

- მარწმუნებლის სახელითა და წესდებით გათვალისწინებული წესით, დადოს და ხელი მოაწეროს გარიგებებს, შეთანხმებებს, მათ შორის იჯარის ხელშეკრულებებსა და მათი შეწყვეტის შესახებ შეთანხმებებს.

2. <u>წინამდებარე რწმუნებულება გაცემულია გადანდობის უფლებით და ძალაშია 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.</u>

რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ირმა შარვაძის სანოტარო არქივში, ხოლო ორი ეგზემპლარი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია საზღაური 10.00 (ათი) ლარი, ბიუროს გარეთ სანოტარო მოქმედების შესრულებისთვის 20.00 (ოცი) ლარი, დღგ 5,40 (ხუთი ლარი და 40 თეთრი) ლარი + რეგისტრაციის საფასური 2.00 (ორი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29.12.2011 წ. №507 „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ") 31–ე, 34–ე და 39–ე მუხლებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169 მუხლისა;

მარწმუნებელი _____

ნოტარიუსი _____

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

52570833774819

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190032282

რეგისტრაციის თარიღი

14.01.2019 წ

ნოტარიუსი: ირმა შარვაძე
მისამართი: თბილისი, ჟ. შარტავას 42
ტელეფონი: 2238372

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18